საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გამბა ჟაკ ფრანსუა

გამბა (Gamba) ჟაკ ფრანსუა (26. XII. 1763, დიუნკერკი, – 27. III. 1833, თბილისი), ფრანგი მოგზაური და ვაჭარი. დაწყებითი განათლება მიიღო ჟიუის სამონასტრო კოლეჯში, უმაღლესი – პარიზსა და ლაიფციგში, სადაც სწავლობდა ევრ. ენებს. საფრ. მთავრობის მხარდაჭერით, რ-იც დაინტერესებული იყო აზიასთან ვაჭრობით, 1817–18 იმოგზაურა სამხრ. რუსეთში. მეორე მოგზაურობისას 1820 საქართვ. სამხ. გზით, თბილისში ჩამოვიდა. იყო კახეთსა და ქუთაისში. საქართველოდან გ. პეტერბურგში დაბრუნდა, სადაც დაინიშნა ახლადდაარსებული საფრ. საკონსულოს ხელმძღვანელად თბილისში. რუს. მთავრობამ მას საქართველოში გამოუყო 16 ათ. დესეტინამდე მიწა (აჯამეთის ახლოს, იმერეთში) თითქოსდა ადგილ. სოფ. მეურნ. კულტ. დონის ასამაღლებლად. 1824–26 გ. საკონსულო საქმეებზე ჩავიდა პარიზში, სადაც გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი, რ-იც წარმოადგენს დღიურების საფუძველზე დაწერილ ნარკვევებს, მასში ჩართულია 1823 გ-ს ძმის რაჭაში მოგზაურობის დღიურებიც. ნარკვევებში არის ეკონ., ეთნოგრ. და ისტ. ხასიათის ცნობები. აღწერილია აღმ. საქართველო და დას. საქართველო („კოლხიდა“), ჩრდ. კავკასია, აგრეთვე თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, რედუტ-კალე (ყულევი), გელათი, სიღნაღი, თელავი, წინანდალი და სხვა ადგილები. დართული აქვს აფხ., სამეგრელოს, იმერეთის, მდ. რიონისა და ყვირილის შეერთების რუკები; ჩანახატები (მოცეკვავე ქართველი ქალები თბილისში, ხევსური, ეკლესიები, ციხეები) და სხვ.

თხზ.: Voyage dans la Russie méridionale et particuliérement dans les provinces situées au delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824, t. 1–2. P., 1826; მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაში... თარგმ. და კომენტ. მ. მგალობლიშვილისა, თბ., 1987.

ე. მამისთვალიშვილი